აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს ორგანული კანონის პროექტის და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე

1. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 90-ე -მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინოს კანონპროექტების პაკეტი: „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს ორგანული კანონის პროექტი და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებზე მომხსენებლად დაინიშნოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია

ქ.თბილისი
15.03.2023 წელი
N06-ს